ს.ს.ი.პ.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება

20.10.2009 № 133

2009/2010 სასწავლო წლის
პირველი სემესტრის სასწავლო
განრიგის შესახებ

2009/2010 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნაწილობრივ შეიცვალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2009 წლის 13 აგვისტოს №94 ბრძანება და პუნქტები 1-4 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
პუნქტი 1. სასწავლო პროცესი 2009/2010 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სწავლების ყველა საფეხურზე – პროფესიული უმაღლესი, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა - სწავლების ყველა წლის სტუდენტებისათვის, რომელიც დაიწყო 2009 წლის 28 სექტემბერს, დასრულდეს 2010 წლის 8 თებერვალს (იხ. დანართი 1);
პუნქტი 2. საგამოცდო სესიები სწავლების ყველა საფეხურის – პროფესიული უმაღლესი, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა - სწავლების ყველა წლის სტუდენტებისათვის ჩატარდეს 2010 წლის 9 თებერვლიდან 2010 წლის 6 მარტის ჩათვლით (იხ. დანართი 1);
პუნქტი 3. სწავლების ყველა საფეხურის – პროფესიული უმაღლესი, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა – სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესი წარიმართოს დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების, "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის" და ამ ბრძანების დანართი 2-ის შესაბამისად;
პუნქტი 4. "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში" ცვლილებების შეტანამდე სტუდენტის მიღწევის შეფასების ნაწილში ფაკულტეტებმა იხელმძღვანელონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანების გათვალისწინებით შედგენილი დანართი 2-ის მიხედვით.

2. დანარჩენი პუნქტები დარჩეს უცვლელად.

საფუძველი: "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანება "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების

კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე”.

რექტორი,

პროფესორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე,

პროფესორი *ლ. კლიმიაშვილი*

სწავლების დეპარტამენტის უფროსი,

პროფესორი *ი. ლომიძე*

სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის

უფროსი *ბ. მაისურაძე*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2009/2010 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სასწავლო გრაფიკი

სწავლების საფეხური	28 სექტემბერი – 4 ოქტომბერი	5-11 ოქტომბერი	12-18 ოქტომბერი	19-25 ოქტომბერი	26 ოქტომბერი – 1 ნოემბერი	2 ნოემბერი	3-8 ნოემბერი	9-15 ნოემბერი	16-22 ნოემბერი	23-29 ნოემბერი	30 ნოემბერი – 6 დეკემბერი	7-13 დეკემბერი	14 დეკემბერი	15-20 დეკემბერი	21-27 დეკემბერი	28 დეკემბერი 3 იანვარი	4-10 იანვარი	11-17 იანვარი	18-24 იანვარი	25-31 იანვარი	1-7 თებერვალი	8 თებერვალი	9-14 თებერვალი	15-21 თებერვალი	22-28 თებერვალი	1-7 მარტი	8(9) მარტი
კვირა	I	II	III	IV	V	VI		VII	VIII	IX	X	XI	XII		XIII	-	-	XIV	XV	XVI	XVII	XVIII		XIX	XX	XXI	
პროფ. უმაღლესი (I)	სასწავლო პროცესი						I ტესტირება	სასწავლო პროცესი						II ტესტირება	სასწავლო პროცესი	არდადეგები		სასწავლო პროცესი					სესიები (დასკვნითი გამოცდები)		სესიები (დამატებითი გამოცდები)		მეორე სემესტრის დასაწყისი
პროფ. უმაღლესი (II)	სასწავლო პროცესი							სასწავლო პროცესი										სასწავლო პროცესი									
პროფ. უმაღლესი (III)	სასწავლო პროცესი							სასწავლო პროცესი										სასწავლო პროცესი									
ბაკალავრიატი (I)	სასწავლო პროცესი							სასწავლო პროცესი										სასწავლო პროცესი									
ბაკალავრიატი (II)	სასწავლო პროცესი							სასწავლო პროცესი										სასწავლო პროცესი									
ბაკალავრიატი (III)	სასწავლო პროცესი							სასწავლო პროცესი										სასწავლო პროცესი									
ბაკალავრიატი (IV)	სასწავლო პროცესი							სასწავლო პროცესი										სასწავლო პროცესი									
მაგისტრატურა (I)	სასწავლო პროცესი							სასწავლო პროცესი										სასწავლო პროცესი									
მაგისტრატურა (II)	სასწავლო პროცესი							სასწავლო პროცესი										სასწავლო პროცესი									
დოქტორატურა (I-I)	სასწავლო პროცესი							სასწავლო პროცესი										სასწავლო პროცესი									
დოქტორატურა (II-II)	სასწავლო პროცესი							სასწავლო პროცესი										სასწავლო პროცესი									

აღნიშვნები:

- (I) – სწავლების პირველი წელი, (II) – სწავლების მეორე წელი და ა.შ.;
- (I-I) – სწავლების პირველი წლის პირველი სემესტრი, (II-II) – სწავლების მეორე წლის მეორე სემესტრი;
- XII კვირაში II ტესტირების გარდა ჩატარდეს I ტესტირების აღდგენა (მეორე დანართის მესამე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში);
- 2 ნოემბერს, 14 დეკემბერს და 8 თებერვალს ჩატარდეს, შესაბამისად, 14 ოქტომბრის, 23 ნოემბრის და 19 იანვრის ცხრილით გათვალისწინებული მეცადინეობები.

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს, მათ შორის, როგორც წესი, ერთ სემესტრში - 40 კრედიტს;
2. დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 40 ქულას;
3. დეკანის ბრძანებით, I შუალედური შეფასების და დასკვნითი გამოცდის აღდგენის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც აღნიშნული შეფასების/ გამოცდის ჩატარების დღეს ჰქონდა დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო გაცდენა;
4. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია ჯამში დაუგროვდეთ 51 და მეტი ქულა;
5. საბოლოო დადებითი შეფასების გაფორმების მიზნით სტუდენტი არაა ვალდებული გავიდეს დასკვნით გამოცდაზე, თუ მას შუალედური შეფასებების ჯამში უგროვდება 51 და მეტი ქულა;
6. შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასებების ჯამში 41-50 ქულის (FX შეფასება - ვერ ჩააბარა) დაგროვების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში;
8. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა;
9. შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასებების ჯამში 40 და ნაკლები ქულის (F შეფასება - ჩაიჭრა) დაგროვების შემთხვევაში, აგრეთვე მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით გამოცდაზე გასვლის შედეგად რომელიმე უარყოფითი შეფასების (FX ან F) დაგროვების შემთხვევაში სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი;
10. ყველა საფეხურის, სწავლების ყველა წლის სტუდენტებისათვის, გარდა პროფესიული უმაღლესისა და ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლისა,

შუალედური შეფასებები მოიცავს ორ ტესტირებას, თითოეული მაქსიმალური შეფასებით – 30 ქულა;

11. პროფესიული უმაღლესისა და ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტებისათვის შუალედური შეფასებები ასევე მოიცავს ორ ტესტირებას და აგრეთვე ყოველკვირეულ შეფასებებს:
    - ყოველკვირეული ჯამური (სემესტრული) მაქსიმალური შეფასება არის 15 ქულა (1 ქულა **X** 15 კვირა);
    - I ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;
    - II ტესტირება – მაქსიმალური შეფასება 25 ქულა;
12. სასწავლო კურსების (საგნების) სილაბუსების პუნქტი "შეფასების სისტემა" შესაბამისობაში იქნას მოყვანილი წინამდებარე დანართთან.